

საგზიელი

საერთოული გაზეთი

ოთხშაბათი 17 დეკემბერი 2003 №240 (2011)

ფასი 50 თეთრი



REUTERS პრეზენტაციიდან

გუნდისლიგა უოგა-ასალი ნელი დაინყო ფერდერს სანტა კლასი უფია, ფრაიბურგის უფილუბს მოწყენა

იხილეთ მეორე გვერდი

ბუნდესლიგაში „ვერდერმა“ მზიარული არდადეგები მოიწყო



გამრეცხე!

ქართული რაგბის სახლს დიდი

ნუნდა-დალაგება სჭირდება

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

ესი თავე დაუნეხედი წიგნიდან

სულაქველიძის მარადონა ჟომას ჯამის ბადა დაუხარება რაზე?



...მატრის წინა დღეს ბესკო-
ვმა მიხმო — მარადონას წი-
ნაალმდევე შენ უნდა ითამა-
შოო. ბესკოვისგან გამოსულს
ჭამის ბადა ნამერთვა — იმა-
საც ვფიქრობდი, ბესკოვმა ასე იმიტომ გადაწყვიტა, ჩე-
მი ნაკრებიდან ვაგდება უნდა, რალა ჭამის წინ მითხრა
ეს და ოცდაორი რუსიდან მაინცდამაინც მე რატომ ამი-
რჩია-მეთქი.



REUTERS ფრაიბურგისგან

ფრაიბურგი — ბაიერი იმ. მარტინ დემიკელისმა დაიწყო და მიუნხენელეგმა ნახევარ დუჟინს უწიეს

ქორნილია! დილა ქალს ირთავს



გორელმა ფეხბურთელებმა საჭმეც გააყეთეს და თავსაც მიხედეს... იხილეთ მეთოთხე გვერდი

...არ არსებობდა ის, რასაც მარადონას თამაშიდან
სრულ გამოთიშვას დავარქმევდით. მხოლოდ ის შეიძ-
ლებოდა, რომ მისთვის ხელი შეგეშალა. ბურთს ისე
იღებდა და იჭერდა, ვერ მიეკარებოდა. მე სულ იმას ვც-
დილობდი, ჩვენი კარისკენ არ შემოტრიალებულიყო,
მაგრამ ამას ყოველთვის როდი ვახერხებდი — მარა-
დონა მე კი არა, მთელ მსოფლიოს უტრიალდებოდა.

ნამატჩევს მარადონასთვის მაისურის ვაცვლა არც
კი მიცდია — მე რომ მაისურა გამეხადა, ალბათ დამი-
ჭერდნენ — შიშველი საბჭოთა სპორტსმენი წარმოუ-
დგენელი იყო.

მოგვალდი წლიდან საგზიელი ორშაბათსაც გამოვა

წუხელ გოგა გახოკიძე და მისი „ტვენტე“ ჰოლანდიის თასის მეოთხედფინალში გავიდნენ. ენსხედელეებს „აიაქსი 2“ ჰყავდათ მეტოქედ და დიდ წინააღმდეგობასაც წააწყდნენ მეორე დივიზიონელისგან. ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა და საგოლე პასი გაუკეთა ჯონ კოლინზს, იქამდე კი მატჩი ათი წუთით შეწყდა...

მომავალ კვირას მატჩის დამთავრებისთანავე დავეუკავებოდით



გოგა გახოკიძე თამაშისას ტკივილს არ ებუება

ტვენტემ პატარა აიაქსს დიდი სავსელი შეუნთო გახოკიძე ამსტერდამში ნამლით ჩავა

— იოლ გასეინენბას ველოდით რანგით დაბალ მეტოქესთან და ლამის დავისაჯეთ. „აიაქსი 2“ მთელი მატჩის მანძილზე გულდაგულ იბრძოდა. მეტოქემ ბევრი გვანერვიულა, თუმცა ბოლოს მინც ვაიციტანეთ. რომ ვერ მოგვეგო, ძალზედ გულდასაწყვეტი იქნებოდა, რადგან შინ ვთამაშობდით, თანაც ჰოლანდიამი სათასო ეტაპი თითო მატჩისგან შედგება და მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი არ უნდა გაკეფულანგა.

— მეოთხედფინალში გავიდა შენი ყოფილი გუნდი ასეც—

— მეოთხედფინალის კენჭისყრა ორ დღეში გაიმართება. ასე-სთან თამაშს კი ფინალამდე არ ვისურვებდი, ფაქტობრივად, წაუქცეველი გუნდია ჰოლანდიამი.

— „აიაქსი 2“-თან მატჩი ათი წუთით შეწყდა, მიზეზი რა იყო?

— ვიცი ფაქტები გვყავს. გოლი რომ ვერ გავკეფონდა, გატოვდნენ და პეტარდებთან ლამის გადაწყვეს მოედანი. მსაჯემაც ორჯერ შეაჩერა თამაში და რომ ვერაფერს გახდა, გასახდელისკენ გვიხმო.

— მატჩის ჩაშლის საშიშროება ყოფილა...

— საბედნიეროდ, გულშემატკივრები დაწყნარდნენ. ჩვენც თამაშის გავრძელების საშუალება მოგვეცა და დამშვიდებული ქომაგი მოგვბოთაც დაეჯილდოვეთ.

— „ტვენტეს“ პროგრესი აშკარაა, ბოლო ტურში „ფეინორდს“ სძლიეთ, თანაც წარმატებით ითამაშეთ, ყოველივე რაიმე განსაკუთრებული სახლის შედეგი ხომ არაა?

— არა, ყველაფერი ძველებურადაა, უბრალოდ, უფრო შევთამაშდით და ეს გუნდს დაეჭყო, „ტვენტეში“, ფაქტობრივად, ოთხ კაცს მიგვყავს თამაში. მე, რამზის, კოლი-

ნზს და ნკუფოს. მე და რამზი ძველი პსე-ელები ვართ და კარგად გვესმის ერთმანეთის. დღესაც მაგრად ავაწყვეთ: რამზის დრიბლინგის შემდეგ მე მივეცი საგოლე პასი ჯონ კოლინზს.

— ტურიც და ჰოლანდიამი პირველი წრე დამთავრდება. წლის ბოლო მატჩი „აიაქსთან“ გაქვთ.

— ეს თამაში თუ მოვიგეთ, მეხუთე ადგილზე აღმოვჩნდებით, ეს კი საპირველწერიოდ ურიგო შედეგი არ იქნება. ვნახოთ, თუ ტრავმამ ხელი არ შემიშალა, ვითამაშებ.

— ფეხი ისევ გაწუხებ?

— ჰო, სამი კვირის წინ „ბრედანსთან“ მატჩისას მაგრად დამარტყეს ტერფში. მოტეხილობა არ იყო და მეგონა, მალე დამიკნებოდა, თუმცა „ფეინორდთან“ მატჩის წინ აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. მწვრთნელებმა მიხილეს, დაგვეხმარეო და ტკივილგამაყუჩებელი გავიკეთე. ტკივილმა დღევანდელი მატჩის წინაც შემაწუხა.

— ისევ „ნემსით“ ითამაშებ?

— არჩევანი არ მქონდა. მწვრთნელმა მითხრა, შენს თამაშს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს და უნდა დაგვეხმარო.

— კი, მაგრამ, ტრავმა რომ გავიმიზეზდეს?

— ექიმი მიიმეღებს, საგანგაშო არაფერი იქნება, საშუასეზონო შესვენებისას ტერფს მოიშუშებო. ასეც რომ არ იყოს, ენსხედელეები ბოლომდე მენდობიან, კლუბში ყველას ახლო, მეგობრული დამოკიდებულება აქვს ჩემთან და თავს უფლებას არ მივეცემ, საჭიროებისას მათ გვერდით არ დავდგე. ამიტომ გავიჭირებ და „აიაქსთანაც“ ვითამაშებ. მერე კი ორკვირიანი შევბულება გვაქვს და თბილისში ჩამოვალ.

პაატა კვანტალიანი

მუსიკალური ანბრამში ფრაიბურგმა გაუჭირვებელი გაიჭირვა

წუხელ ბუნდესტურის ოთხ მატჩს გოლების ფოიერვერკი მოკყვა. გოლთა წვიმამი ლამის ამოიხრჩო „ჩვენებური“ „ფრაიბურგი“, ალექსანდრე იაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის გუნდი ერთგული ქომაგის თვალწინ დიდად შერცხვა. ფოლკერ ფინკეს ბიჭებს მეტოქედ „ბაიერნი“ კი ჰყავდათ, მაგრამ 0:6 მეტისმეტი იყო, არადა აქამდე ტრადიციულად მიუნხენელებს ყოველთვის უჭირდათ ფრაიბურგში თამაში.

ამ წაგებით ჩვენებურთა გუნდი მეათეზე ჩაცოცდა და თუკი დღეს „მიუნხენმა“ მოიგო, „ფრაიბურგი“ ზამთრის შესვენების წინ ათეულს მიღმა აღმოჩნდება.

იაშვილთან და ცქიტიშვილთან წუხელ შეხმინება ამაოდ ვცადეთ, ჩვენებურებს დანა პირს არ უხსნიდათ. „ფრაიბურგს“ სასიკეთო მხოლოდ ის დარჩა, რომ მომდევნო მატჩი „ლევერკუზენთან“ აქვს. იქამდე კი ზამთრის შესვენებაა, ბუნდესლიგა 31 იანვარს განახლდება. მოკლედ, გონსმოსასვლელად დიდი დრო აქვს ფინკეს გუნდს.

ბუნდესტატიკა ამბობს, რომ შემოდგომის ჩემპიონი, ბოლოსაც ჩემპიონი ხდება. ერთადერთი გამონაკლისი წინა სეზონში იყო, შესაძლოა, ასეთი რამ ამ ჩემპიონატშიც განმეორდეს, მაგრამ „ვერდერს“ გარჯას ვერავინ დაუკარგავს. ბრემენელებმა პირველი წრე მაჟორულად დახურეს პირველი ადგილით. „მუსიკალურმა“ წუხელ „ჰანზა“ წააქციეს და ამით ყველაზე მეტად გაზარბული „ვერდერის“ ბრანზილიელი მეგობრული ალტონი დარჩა. ჩასუქებულმა სამხრეთამერიკელმა „ჰანზასთან“ თავისი მეთექვსმეტე გოლი გაიტანა და პირველი წრის ბუნდესბომბარდირობაც ალაღად დაიმსახურა.

დრამატული თამაში იყო ფრანკფურტში. „აინტრახტმა“ ორბურთიანი ფორა ამოუქანა ბოლო ხუთ მატჩში წაუგებელ კლაუს ტოპმიოლერის „ჰამბურგს“, მაგრამ 2:2-ის მერე სერგი ბარბარესმა სტუმრები ისევ დააწინაურა, „აინტრახტს“ კვლავაც შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ზედ ბოლო წუთზე ერვინ შველამ პენალტი გააცუდა.

„აიოლნმა“ ყველასგან თავშიწამორტყმული „ჰერტა“ არ დაინდო. „თხებმა“ სამი უპასუხო გოლი გაუტანეს ბერლინელებს და ბოლო ოთხ თვეში პირველად ასცდნენ ბოლო ადგილს.

პაატა კვანტალიანი



ვერდერი — ჰანზა „ვერდერმა“ და კრისტიან ლისტენმა ფეხი გაშალეს

ინგლისი
კონსტანს ლიგა გადადგაული მატჩი
სტივენეჯი 0:1 ალდერშოტი
ასონიანიის თასი
II ეტაპი გადათამაშება
ბარნსლი 2:1 ბრისტოლი
ჰემპრი 2:2 დ. (გენ. 2:4, 1) მაუსფოლდი
მენსფოლდი 3:2 უიკოზი
ლიბის თასი V/4 ფინალი
პოლტონი 1:0 დ. (0:0) საუთჰემპტონი
მესტ ბრომვიჩი 0:2 არსენალი

ესპანეთი
თასის V/6 ფინალი
სელტა 3:1 მასაგოლი
ალავესი 2:1 სოსიედადი
ლეონესა 0:1 ატლეტიკო
ალხესინრასი 0:1 ვილიარეალი

თურქეთი
თასის V/6 ფინალი
სამარი 2:3 დ. (2:2) დენიზლი

იტალია
თასის V/8 ფინალი
საპასუნო მატჩი
პერუჯა 3:0 კიევი (1:2)

გერმანია
ბუნდესლიგა XVII ტური
ვირდერი 3:0 ჰანზა
ჰიოლნი 3:0 ვერტა
აინტრახტი 2:3 ჰამბურგი
ფრაიბურგი 0:6 ბაიერნი
II ბუნდესლიგა XVII ტური
დუისბურგი 0:2 არმიონია
ოსნაბრიუმი 0:2 ოპარაჰუზანი
ნიურნბერგი 2:0 ალანი

ჰოლანდია
ემორე ლივიზიონი
XIX ტური
ვეინდამი 2:1 დენ ზოსი
თასის V/8 ფინალი
საბრტა 2:0 როზენდალი
ჰმ პინდოროვი 2:0 ტილზურგი
ტვენტე 1:0 აიაქსი (II)
პერაპალსი 4:1 ჰოეპი

საფრანგეთი
ლიბის თასი V/8 ფინალი
ლანსი 2:0 გორდო

გელგია
თასის V/8 ფინალი
გაილი 0:1 ლუპი



ვესტ ბრომვიჩი — არსენალი. ლონდონელთა მეკარე გრემ სტაი მშრალად გადაიჩა



ტიერი ანრი ფიფას გამოკითხვის მიხედვით მსოფლიოს საუკეთესოთა სამეულში ოდენ მეორეა, მაგრამ „არსენალის“ ფრანგ ლეგიონერს ამის გამო რაიმე წყენა არ ეტყობა და თავისი ალბიონური კლუბისა თუ მადრიდელი მეგობრების შესახებ ხალისიანად საუბრობს. ვთავაზობთ ანრის ინტერვიუს მადრიდულ „ასთან“

რეალზე ფიქრი უმადურობაა რამდენს ლაპარაკობთ ანრიზე?!

— რა იგრძენით, როცა მსოფლიოს „მეორე საუკეთესოდ“ დაგასახელეს?
— ზიდანისა და რონალდოს გვერდით ყოფნა ძალიან მესიამოვნა. ისინი დიდებული მობურთალები არიან.
— წარმოგიდგინათ ოდესმე მათ გვერდით, ერთ კლუბში თამაში?
— მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს შესანიშნავი იქნებოდა. ზიდანთან ერთად უკვე ვიყავი საფრანგეთის ნაკრებში და თუ ერთ მშვენიერ დღეს რონალდოსთანაც მომიწია ბურთაობა, უკმაყოფილო ნამდვილად არ დავრჩები.
— რა მოხდება, თუ მადრიდის „რეალი“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასვლას შემოგთავაზებთ?
— როდესაც რაიმე გარიგებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, უპირველეს ყოვლისა „არსენალში“ გატარებულ წლებს გადავხედავ ხოლმე. რომ არა ჩემი დღევანდელი კლუბი, ტიერი ანრი ამხელა წარმატებას ვერ მიაღწევდა. „არსენალი“ ისეთ გამოუვალ სიტუაციაში დამხმარებია, ჩემი მხრიდან საშინელი უმადურობა იქნება, რაიმე დაუფიქრებელი საქციელით ზურგში მახვილი ჩაცეცხ. სანამ „არსენალი“ ჩემს ლონდონში ყოფნას ისურვებს, მეც იქ ვიქნები.
— და თუ აღარ ენდობება?
— ჰიპოთეზებზე საუბარი არ მსურს. ლონდონში ბედნიერი ვარ, ვთანამშრომლობ მწვერთელთან, რომელიც სრულებით მენდობა და

მყავს გულშემატიკივარი, ვისაც თამაშის ჩემული სტილი ძლიერ მოსწონს. მეც მინდა, ქომაგებს შეძლებისდაგვარად ჩემი გოლებით გადავუხადო მადლობა. „არსენალიდან“ არსად წასვლას არ ვაპირებ.
— აბრამოვიჩის „ჩელსისაც“ უნდოდა თქვენ შექმნა, მაგრამ „მეთოფეთა“ რუს ოლიგარქს სარფიან წინადადებაზე უთხრეს უარი...
— ამით კლუბს უნდოდა ეთქვა, რომ ანრი ტრანსფერგარეშეა. „არსენალი“ ჩემთვის ბევრ რამეს აკეთებს და მეც მინდა, ლონდონელები იმედგაცრუებულნი არ დავტოვო.
— თუმცა, მიუხედავად თქვენი ერთგულებისა, ინგლისური გუნდის შემადგენლობაში ვერ მოიგებთ ისეთ ტიტულებს, რომელთაც, ვთქვათ, „ბერნაბეუზე“ ბურთაობით მოიგებდით...
— დრო მოვა, „არსენალთან“ ერთად ფანტასტიკურ გამარჯვებებს ვიხიემთ. მომავალში ჩვენთან ფეხბურთელთა კარგი ბირთვი შეიქმნება და ახალ სტადიონს ახალი ჯილდოებით დავამშვენებთ. უახლოეს ხანს მთელი ევროპა „მეთოფეთა“ პროექტის წარმატებაში დარწმუნდება.
— ახლანდელი სეზონი თქვენს კარიერაში ყველაზე იდბლიანია?
— არა, ადრე უფრო უკეთესად ვთანამშობდი. უბრალოდ, სალზი წლეულს ანრიზე რატომღაც გაცილებით ბევრს ლაპარაკობს, ეს არის და ეს.

ამბის მოყოლა ქართველთათვის ფრიად სამარცხვინო ფაქტის ხსენებით დავინწყით — გერმანელმა მწვრთნელმა ბერნდ შტანგემ მოახერხა და 13-თვიანი მუშაობის პერიოდში ერაყის ნაკრები ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში 30 საფეხურით ალაზევა, 74-დან 44-ე ადგილამდე ასწია. ახლანდელი ხსენებით იმავე რეიტინგში რომელ ადგილზეა საქართველო და ვინძლო, ქართული ფეხბურთის მამების ნაცვლად შეგვცხვეთ

ერაყი შტანგეს შტანგაა გერმანელმა ისე აჯარა, ფიფას თვალში მოხვდა


ერაყის ნაკრები ოდენ სადამის დაჭერის გამო არ გაგვხსენებია. საქმე ის არის, რომ ორმაბათს ბაზელში ფიფას პრეზიდენტმა ზევ ბლატერმა შტანგეს, ერაყის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მოჰამედ ჰუსეინ საედს და ეროვნული გუნდის კაპიტან ნაჯი ჰუსამს ჯილდოები გადასცა ამ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.
და ისევ ქართველთა გუნდის გასახეთქად: ერაყის ნაკრები აზიის ჩემპიონატზეც ითამაშებს და 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზეც. ამის გარდა გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაც აქვს პრეტენზია.
55 წლის შტანგემ კი, რომელმაც ერაყში ომის დაწყების მერე ქვეყანა დატოვა, დაჯილდოების მერე ინტერვიუში თქვა: „ნურაყის ეგონება, რომ სადამის დაჭერის მერე ერაყში ყველაფერი მყისიერად შეიცვალა, რადგან პრობლემა მხოლოდ ერთ კაცში კი არა, მთლიანად სისტემაში იყო, რომლის შეცვლასაც დრო სჭირდება.“
შტანგე ერაყის ნაკრების მწვრ-



ბერნდ შტანგე და მოჰამედ ჰუსეინ საედი

თნელად 2002 წლის ნოემბერში დაინიშნა. მას 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. სხვათა შორის, მან შტანგეს სამშობლოში აუჯანყდნენ, აქაოდა, დიქტატურას უჭერს მხარსო. ამაზე მწვრთნელმა თქვა, ფეხბურთი ფეხბურთია, პოლიტიკა კი პოლიტიკა, ერთმანეთში ნუ აურევთო.
დაეძინოთ, რომ როცა უდაი ჰუ-

სინი, სადამის პირსისხლიანი შვილი და ერაყული სპორტის გამგებელი მოჰკლეს, შტანგემ ფეხბურთელებს მოუწოდა, მაინცდამაინც ნუ დაიწყებთ უდაის გინებასო. ახლა, როცა სადამი დაჭერილია, შტანგე ერაყში ჩასვლას და ნაკრების ბაპრეინის ტურნირზე წაყვანას აპირებს.
ირაკლი ნინიძე



არგენტინა

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like Argentina, Brazil, France, etc.

ნესტა რომში დააბრუნეს

„ბოკა ხუნიორსთან“ დამარცხებული „მილანი“ უკვე მილანელოშია, თუმცა არასრული შემადგენლობით. საქმე ისაა, რომ 27 წლის ცენტრალური მცველი ალესანდრო ნესტა რომში დაუყოვნებლივ გაგზავნეს „როსონერის“ მედიკოსებმა, სასწრაფოდ მენისკის ოპერაცია გაიკეთო. ნესტამაც რომის ქირურგიულ კლინიკა „სანტო ვოლტო დი მარიაში“ პროფესორ კამპის მიაკითხა.
პროფესორმა ფეხბურთელს ჯერ გამოკვლევა ჩაუტარა, გუშინ დილით კი მარცხენა მუხლზე ოპერაციაც გაუკეთა.
„ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ჩემი პაციენტის სრულ გამოჯანმრთელება, სულ ცოტა, სამი კვირა დასჭირდება. მერე შევხვდეთ, ნესტას მუხლს კვლავაც გავხინჯავთ და გადავწყვეტთ, როდის დავრთოთ ვარჯიშის განახლების ნება“ — უთხრა კამპიმ იტალიურ მედიას.
ნესტას მენისკი გენუის „სამპლორასთან“ მატჩში გაუმიზეზდა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. აქამდე გამაყუჩებლებით თამაშობდა. ტრავმამ საკონტინენტთაშორისო თასის ფინალი გამოატოვებინა, მისი არყოფნა კი „მილანის“ დაცვას ძალიან დაეცო.
ნესტა 6 იანვრის „რომა“ — „მილანის“ უპრინციპულეს შეხვედრასაც გამოტოვებს.
გიორგი მუხამიძე

Advertisement for 'LIGA' clinic. Text includes: 'სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“', 'დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე', 'სამსოპათოლოგიის კლინიკა', 'ერექციის ხარისხის გაუმჯობესება', 'სქესობრივი აქტის გახანგრძლივება', 'წარუმატებლობის მორლოინის შიშის მოხსნა', 'სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე: პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.', 'ანონიმურობა დასულია ტელ: 32 21 21', 'პაქცინაციის ცენტრი', 'ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი) წინასწარი ჩანერა ტელეფონით: 32-44-78', 'სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“ თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15'

სიბიჭის უფლება

ბრემიო გავარდნას გადაურჩა, ნგრევას ვერა

ბრემილია

სან კაეტანო — ინტერნასიონალი ნ.მ.;
ატლ. მინიერო — გოიასი 32; პარანა
 — ვიტორია 20; ფიგუერენსე — ბუ
 არანი 20; კურიტიბა — კრისიუმა 20;
ფლუმინენსე — უავენტურდუ სე; გრე
 მიო — კორინთიანსი 30; პაისანდუ
 — ატლ. პარანენსე 22; პონტე პრეტა
 — ფორტალეზა 20; ბაია — კრუზე
 ირო 07; სან პაულუ — ფლამენგო
 სე; ვასკუ და გამა — სანტოსი 11

ბრაზილიური სერია A „კრუზე-იროს“ ტრიუმფით დასრულდა. განდრედი ლუშემბურგოს გუნდმა გასაგარდნად განწირული „ბაია“ ბა-ლდით დაწავრა. მასპინძლებმა 37 წუთში მეტოქე ფეხბურთელები ოთხჯერ საპენალტოდ დასცეს და „კრუზეიროს“ ალექსმა ოთხჯერვე გაიტანა. მეორე ტაიმში ფელიპემ ანგარიში ხუთამდე გაზარდა, კვლავ ალექსმა ექვსამდე, მოტამ კი მე-ვიდე რომ შეავლო, სტუმრებმა გუ-ლი იჯერეს, რადგან ჩემპიონატში 100 ქულა მოაგროვეს და 102 გო-ლი მიითვალეს.

ლიბერტადორესის თასის გათ-მაშებაში მოსახვედრად „სან კე-ტანო“ და „ინტერნასიონალი“ შე-იბნენ. სტუმრები ქულით უსწრე-ბდნენ მასპინძლებს და მეხუთე ად-ვილზე დასამკვიდრებლად ფრეც ხელს აძლევდათ, მაგრამ ამ ბრძო-ლაში „სან კაეტანომ“ აშკარად იბა-ლა და მოწინააღმდეგე ხუთი უპა-სუხო გოლით გაისტუმრა. პირვე-ლი ხე კარლოსმა შესვენებამდე შე-ავლო, ოთხი კი მეორე ტაიმის ნა-ხევარსათიან მონაკვეთში გავიდა. ხუთეულში „კურიტიბაც“ მო-ხვდა, რომელმაც ცხრილის შუაში განხერხელ, უმოტივაციო „კრისიუ-მას“ მარსელისა და ლიმას გოლე-ბით აჯობა.

სახელოვანი კლუბი „გრემიო“ კი ქვედა ლიგაში გადასაცვლებას „კო-რინთიანსის“ ძლევიტ გადარჩა. კო-რუემ ანგარიში 21-ე წუთზე გახსნა, რასაც შესვენების შემდეგ ბრუნომ და ანდერსონ ლიმამ კიდევ ორი გო-ლი მიაბატეს. სიზარულით გადარე-ული „გრემიოს“ ქომაგები შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე მოედანზე შეცვივდნენ, რის გამოც მატჩი დროებით შეწყდა. მერე კი, ნამატჩევეს, მაინც შეესივნენ მინდორს და ნგრევა-მტერევიტ, ბაღების ფხ-რეწევიტ აღნიშნეს გუნდის არგავა-რდნა. „გრემიოს“ პრეზიდენტმა ფლა-ვიო ობინიომ თქვა: „გულშემატკი-ვრებს გაგიყვების უფლება აქვთ“, კა-პიტანმა სოფერმა კი დასძინა: „სე-რია A-ში დარჩენა ჩვენთვის ჩემპი-ონობის ტოლფასია“.


„პონტე პრეტას“ ბელი ბოლო ტუ-რში გადაწყდა. უშუალო კონკურენტ „ფორტალეზას“ ჟერსონის ადრეუ-ლი და ადრიანინოს გვიანი გოლე-ბით გაუმასპინძლდა, რითაც ძვირ-ფასი სამი ქულა და სერია A-ში ადგილი გაინაღდა. რომარიოს „ფლუმინენსემ“ მარსელის კინკი-ლა გოლით „ჟუვენტუდეს“ მოუგო.

„სან პაულუს“ და „ფლამენგოს“ შეხვედრა ცხრილში არაფერს ცვ-ლიდა, მაგრამ მატჩი საბოლოოდ ექვსი კაცის გაძევებით დასრულდა. მასპინძლები დიეგო ტარდელის წყალობით მე-12 წუთზე დაწინა-ურდნენ, თუმცა „ფლამენგომ“ მეორე ტაიმის დასაწყისშივე რაფაელისა და ედილსონის გოლებით უპასუ-ხა. მოგვიანებით ედილსონმა მეო-რეც მიაბატა. შეხვედრის დასრუ-ლებამდე ცხრა წუთით ადრე ფლა-მენგოელი, დუბლის შემსრულებე-ლი და მასპინძელი ჟანი ხელდა-ხელ შეიბნენ და მსაჯმა მოედნი-დან ორივე მიაბრძანა. მატჩის ბო-ლოს ჯგუფური ჩხუბი ატყდა, რა-მაც კიდევ ოთხი ფეხბურთელი „შე-იწირა“, ორი „სან პაულუდან“ და ორიც „ფლამენგოდან“.

გაბა ხუციშვილი

საპროლო (ცხრილი)	ბრუნები	გოლები	ასისტენციები
ბრუნები	46	31	7
სანტოსი	46	25	12
სან პაულუ	46	22	12
სან კაეტანო	46	19	14
კურიტიბა	46	21	10
ინტერნასიონალი	46	20	10
ატლ. მინიერო	46	19	15
ფლამენგო	46	18	12
გოიასი	46	18	11
პარანა	46	18	11
ფიგუერენსე	46	17	14
ატლ. პარანენსე	46	17	10
გუარანი	46	17	10
კრისიუმა	46	17	9
კორინთიანსი	46	15	12
ვიტორია	46	15	11
ვასკუ და გამა	46	13	15
ჟუვენტუდე	46	12	14
ფლუმინენსე	46	13	11
გრემიო	46	13	11
პონტე პრეტა	46	11	18
პაისანდუ	46	15	12
ფორტალეზა	46	12	13
ბაია	46	12	10

„კრუზეირო“ ჩემპიონის სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასზე ითამაშებენ: „კრუზეირო“, „სანტოსი“, „სან პაულუ“, „სან კაეტანო“ და „კურიტიბა“ სერია A-დან გაავარდნენ: „ფორტალეზა“ და „ბაია“ „სან კაეტანოს“ და „ჟუვენტუდეს“ დამატებული აქვთ 3-3 ქულა, „ინტერნასიონალს“, „კორინთიანსს“ და „ფლუმინენსს“ — 2-2; „პონტე პრეტას“ დაკლებული აქვს 1 ქულა, „პაისანდუს“ — 8



ჟულიანა ფერაშის საიდუმლოება



რონალდო ჩემი პაციენ... ჩემი სილიკონიანი მკერდი მისი უმჯობესია

ბრაზილიელი რონალდოს სასიყვარუ-ლო თავგადასავალითა და ოჯახურ არეუ-ლობათა შესახებ უკვე ბევრი რამაა ცნო-ბილი. კიჭასნაირი შეგავარსკვლავების პი-რადი ცხოვრება საზოგადოების ცხოველ-ინტერესს რომ იწვევს, ბუნებრივია. სამ-ხრეთამერიკული თუ პირინეული მედია მისი მისამართით დროგამოშვებით ამუ-

რული ისტორიების ვებერთელა ტა-ლებს აავორებს ხოლმე. ასე მაგალითად, კატალონიურმა „ელ პერიოდიკომ“ მოდო-ნუჟანო რონის კიდევ ერთი საიდუმლო გა-ამხილა: 25 წლის ბრაზილიელი ლამაზმა-ნი ჟულიანა ფერაში „რეალის“ ფეხბურთე-ლთან ათწლიანი მიჯნურობის საქვეყნოდ აღიარებას მოითხოვს.

სელონაში“ გადასვლამდე ცოტა ხნით ადრე, კვლავ განვახლებთ ურ-თიერთობა. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ იგი ჩემი ცხოვრების მამაკაცია — უთხრა „ელ პერიო-დიკოს“ მომჯადოებელმა დიაცმა.

„უკვე აძლენი ხანია, ჩვენი ურ-თიერთობების დამაღვას ვცდილობ. ახლა კი მეტის ატანა აღარ შეიძ-ლება. მინდა, ყველამ გაიგოს — მე და რონის ბავშვობიდან გვიყვარს ერთმანეთი“ — განაცხადა მოთმი-ნებადაკარგულმა ქალმა და კიჭას ჯერ ისევ ოფიციალური მეუღლის, მილენა დომინგუშის გულის გასა-ხეთქად ნათქვამი კიდევ უფრო მა-გარ-მაგარი ფრაზებით გაამდიდრა: „ამ დროის განმავლობაში ორჯერ ვიყავი მისგან ფეხმძიმედ. წლეულს ერთი თვე ლა-მორალებს უბანში, რონალდოს სახლში გავატარეთ და ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი პერიოდი იყო. შობას რონის რიო-ში ველოდები. ვიცი, რომ აუცილე-ბლად ჩამოვა, რათა ჩვენს კავშირს საბოლოოდ მოჰფინოს ნათელი“.

ბუნებრივია, აქ ერთი კითხვა ჩნ-დება — თუ რონალდო, როგორც თავად ჟულიანა აცხადებს, „მისი კა-ცია“, მაშინ რაღა რჩება სენიორა დომინგუშს, „ვის კაცადაც“ აქამდე (მშრალი საქორწინო ხელშეკრუ-ლებით მაინც) იგივე კიჭა ითვლე-ბოდა? რა რჩება და ალბათ, მაკანი ბრაზილიელი მწერლის მიერ დაწე-რილი შედეგები — „მილენა დომი-ნგუშის ბიოგრაფია“, წიგნი, რომე-ლმაც გადარია ფერაშების კრავი-ვით გოგო, მთელი 10 წლის ინტი-მური ისტორიები ხალხის თვალ-სასიეროდ რომ გამოუფენია.

ამრიგად — კლასიკური „ბერმუ-დის“ სამკუთხედი“ მთელი თავისი საიდუმლოებებითა თუ მოულოდნე-ლობებით. ისე, საქმე ძალიან სერი-ოზულადაა. რონალდო თურმე ჟუ-ლიას სწავლის ფულს ხომ უხდის და უხდის (ფერაში სამართლის მო-მავალი სპეციალისტია), პლუს ამას, შეყვარებულის ფიზიკურ კორექ-ტირებაზეც გვარაიანად უზრუნია. „მარშან სილიკონის ოპერაცია გა-ვიკეთე, რომლის ხარჯებიც მთლი-ანად რონიმ გაიღო. მას მოსწონს ჩემი მკერდის დღევანდელი მოცუ-ლობა“ — იმედინად ამთავრებს თავის საინტერევიუ გამოსვლას მა-ცლური ჟულიანა.

ლადო ხომბიძი



ჟულიანა და პატარა რონალდო

მსოფლიოს 20-წლამდელები ჩემპიონატი საამიროები

ნანაშარბიანალი

არგენტინა 0:1 ბრაზილია

0:1 დუდა (65)

კოლუმბია 0:1 ესპანეთი

0:1 ინესტა (86)

ნატჩი III

ადგილისთვის 19 დეკემბერი

არგენტინა — კოლუმბია

ფინალი 19 დეკემბერი

ბრაზილია — ესპანეთი

სარბიელი

სამუშაოდ ინვესტ

გაზათში ნამუშევარ დამკავალონებალს მიღება მოხდება შირჩავით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)


ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14



ხუთგოლა ალექსი



საუბარო კლუბერსონი არის! გოლი და... ბიჭი



კლუბერსონი ალექს ფერგიუსონის ფრთებქვეშ ბედნიერია

კლუბერსონი ახალი კაცია „მანჩესტერ იუნაიტედში“. საერთოდ კი, ბრაზილიელები ბევრნი არ არიან პრემიერლიგაში და მასზე ისეთ გავლენას ვერ ახდენენ, რამდენსაც კონტინენტური ჩემპიონატებზე.

შოზე კლუბერსონ პარეირამ თავისი პირველი პრემიერლიგური გოლი ამასნიანათ გაიტანა „ბლექბერნის“ კარში და როცა გახარებული მოედნის კუთხისკენ გავარდა, ბებეტოს ცნობილი შესტი გაიმეორა, აქაოდა, ბავშვს ვარწვეო.

ეს ამბავი გასაკვირი არც იყო, ამგოლიდან რამდენიმე საათში კლუბერსონს და მის ცოლს, დაიანეს ვაჟი შეეძინათ

თანამდებობები შეუთავსებია. ბრაზილიელები დიდი პატივისცემით არ ეკიდებიან აქაურ სამზარეულოს, ტიკო კი შინაურულებს ამიშინებს. ოღონდაც შინაურულის ამიშინებას პროდუქტიც შინაურული უნდა, რასაც მანჩესტერში ნამდვილად ვერ იშოვი. ლონდონში კი არის რამდენიმე ადგილი, სადაც ბრაზილიური პროდუქტი იშოვება. პოდა, კლუბერსონსაც თავისი საუკეთესო სანაკრებო მეგობარი, „მეთოფი“ ყილბერტო სილევა ეხმარება: იყიდის, გაუგზავნის და ასე შემდეგ. ტიკო კი ადგება და კომინიას, ჩვენი ოჯახურის მსგავსი რამეების სურნელს დაატრიალებს.

კლუბერსონის, როგორც ფეხბურთელის ბედი ოდნავ უცნაურია. ის პირადად ლუიზ ფელიპე სკოლარის პროტექტე ვახლავთ. ოცდაორი წლისა, სწორედ დიდმა ფილმა გამოიძახა ნაკრებში „ატლეტისკო პარანენსედან“ და მსოფლიოს თასზე, სრულიად მოულოდნელად ინგლისელე-

ბთან მეოთხედფინალში სასტარტოში დააყენა ჟუნინოს ნაცვლად.

„თუკი ჟუნინოს მამულობინეს, ესე იგი, რაღაცად ეღივარ — გაიფიქრა მამინ კლუბერსონმა — მშვიდად ვითამაშე ინგლისთან. კარგი გუნდი იყო, მაგრამ ჩვენ ვაჯობეთ. ვუკეირდებოდი დი ფიქრობდი, რა ჭკვიანია ეს ოხერი სქოულზი?“ მერე კლუბერსონმა ნახევარფინალიც ითამაშა და ფინალიც. ასე გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

მისი ოჯახის წევრები კორეა-იაპონიაში არ ყოფილან, მაგრამ კლუბერსონი წარამარა რეკავდა მინ. ასსოვს, როგორ ატირდა ტელეფონში მამამისი, პაუღო ოლიმპიუკლუბერსონს საიმედოდ შეუნახავს საჩემპიონო ბუცები, გეტრები, ტრუსი და მაისურა თავის ბრაზილიურ სახლში, ერთ-ერთი მაისურა კი მამისთვის უჩუქნა.

პაუღო ოლიმპიუ პარეირე ასევე ფეხბურთელი იყო, განაპირა მცველად იდგა მორე დივიზიონის კლუბ „ურაიში“. კლუბერსონს რომ ჰკითხო, მამამისი მასზე უკეთესი ფეხბურთელი იყო, ოღონდაც დაუფასებელი და რახან დიდ გუნდში ვერ მოხვდა, ამიტომაც ნაკრებსაც ასცდა.

სამაგიეროდ, შვილი მოხვდა: ერთ დღესაც, როცა „ატლეტისკო პარანენსეს“ მორიგი ვარჯიში მოთავდა, გასახდელისკენ მიმავალ კლუბერსონს ვიღაცამ დაუყვირა: ეი, ნაკრებში გემახან!

ტიმით კლუბერსონი სამხრეთ-აღმოსავლეთ ბრაზილიიდანაა, კურიტიბიდან. მამამისი ახლა „ატლეტისკო პარანენსეს“ 15-წლამდელთა გუნდის მწვრთნელია, თუმცა მეჯვრანედაც უშუშავა და მასაჟისტადაც „ურაის“ კლუბში.

კლუბერსონმა ფეხი აიდგა თუ არა, „ურაის“ არც ერთი ვარჯიში და თამაში აღარ გაუცდენია, კლუბის თილისმადაც კი იქცა. რვა წლიდან „ურაის“ სკოლის გუნდებში თამაშობდა. ფეხბურთელობა კოჭებში ეტყობოდა და მამამაც თავი დადო და პირადად აქცია მოთამაშედ. ჯერ ნახევრად პროფესიულ გუნდში თამაშობდა, მერე კი „ატლეტისკო პარანენსემ“ აიყვანა. 20 წლისა უკვე იმ „ატლეტისკოს“ ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე იყო, ბრაზილიის ჩემპიონობა რომ მოიპოვა. ამ გზით მოძებნა სკოლა-

რამ, მსოფლიოს თასის შემდეგ კი სახელი ვეროპაშიც დაიკვირდა. მარმან ამბობდნენ, რომ „ურაისს“ და „ლიდსი“ ითხოვდნენ, თუმცა ამ ზაფხულამდე არაფერი მომზდარა. ამ ზაფხულს კი „ატლეტისკო პარანენსეს“ პრეზიდენტმა განზე გაიხმო სავარჯიშო დარბაზში და უთხრა, რომ „მანჩესტერიდან“ ელაპარაკე.

იმ დამეს კლუბერსონი მინ დაბრუნდა და ცოლიან ერთად ინტერნეტს ჩაუყვდა „მანჩესტერზე“ რაც იხივა, ყველაფერი წაიკითხა და მიხვდა, რომ დიდ გუნდში ეატრეებიან, ხოლო ფერგიუსონი ძალიან მაგარი ვინება.

ორიოდ კვირაში უკვე კარინგტონის საწვრთნელ ბაზაზე იყო, სადაც ჯერ ფერგიუსონს შეახვედრეს, მერე კი თანაგუნდელებს.

„ჯერ რამდენიმე მოთამაშე გამაცნეს, მერე კი როი კინმა დარბაზში შემეყვანა და ბიჭებთან წარმადგინა. მე მომწონს კინო. მას ძალიან უყვარს თავისი კლუბი. ის ღრიალებს ხოლმე, სულ ყვირის და ყვირის. ისე, როგორც დუნგა ყვიროდა ბრაზილიის ნაკრებში“.

მისი სწრაფი წინსვლა „მანჩესტერის“ ძირითადში მხრის ტრავმამ შეაფერხა. მაგრამ კლუბერსონის ტექნიკამ და მსუბუქად გადაადგილების უნარმა ადრევე მოიხიბლა ალექს ფერგიუსონი.

„მეონი ბრაზილიის ნაკრებში და „მანჩესტერში“ თამაში დიდად არ განსხვავდება — ამბობს კლუბერსონი — ორივეგან დიდი ფეხბურთელები გახვევია გარს. იქაც და აქაც, ერთი, პა, ორი შეხებით თამაში და მოძრაობაა. მეც ეს სტილი მიყვარს, მოჯაჯგურე არ ვარ. ბურთი მანამდე უნდა მიიშორო, სანამ მოწინააღმდეგე მოგახლოვდება, ამას მთხოვენ და ვცდილობ“.

ერთადერთი, რაც კლუბერსონს აწუხებს, ამინდია.

ბრაზილიაში 35 გრადუსიანი სიცხეა, მანჩესტერში ოთხ საათზე ღამდება და წვიმს. ამიტომაც კლუბერსონის სახლში გათბობა უმადლეს ნიშნულზეა ჩართული. უცხოეთის ცხელა, ფეხბურთელი კი ამბობს, რომ ასე ბრაზილიაში ჰგონია თავი: თუმცა, მაინც ელოდება თოვლს, რადგან არც მას და არც მის საშობაოდ შეყრილ თორმეტ ნათესავს თოვლი არასოდეს უნახავთ.

გიორგი ახვლედიანი ლონდონიდან

„საოცარი დღე იყო — იხსენებს კლუბერსონი — დალითვე შეიძლება რომ ტრავმის შემდეგ, საბოლოოდ სასტარტოში ვეჩვენებოდი. დაიანე სტადიონზე წამოსვლას არ აპირებდა, მაგრამ რომ გაივიღა ვითამაშებდი, წამოვიდა. როცა გავეატანე, წამოხტა და ერთი მაგარი შეჭყვირა და ტიკოელი დაიწყო კიდევ. ბიჭმა მუცელში აღარ მოისვენა. მოედნიდან რომ გამოვიდა, დაიანე გვირახში იდგა, ჩქარა. სამშობაროში წამიყვანო. ჩქარა, ჩქარა და გავეჩანდით. იმ დამით მიიღოვინა და მშვენიერი ბიჭი მაჩუქა. საკვირეკლი არ არის? სულ ოთხი თვეა, რაც აქ ვცხოვრობთ და სახლში კი უკვე მანკუნაინი (მანჩესტერელი) გვყავს. მშვენიერია, ზღაპრულია, მე მიყვარს ჩემი ცოლი და ჩემი შვილი. ეს ხომ ფანტასტიკურია“.

საერთოდ კი, როცა კლუბერსონს ელაპარაკები, უნდა იცოდე, რომ ყოველი მესამე სიტყვა ან „ზღაპრულია“, ან „საოცარი“, ანაც „ფანტასტიკური“. ის ახლა იმ სახლში ცხოვრობს, რომელშიაც ერთ დილით იაპ სტამმა აღმოაჩინა, რომ „ლაციოს“ ფეხბურთელი იყო. ამ სახლში შობას ისე ზემობენ, როგორც სამხრეთის შვილებს სჩევიათ. პატარა ბიჭის, კლუბინოს სანახავად ბრაზილიიდან დაძრულან ბაბუა-ბებები, მამიდეები, დეიდები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები და საერთოდაც სხვა კეთილი ხალხი. ასე რომ, იაპ სტამის ერთ დროს წყნარ სახლში ახლა ერთი ხმაური და ცეკვა-თამაშაა. წარმოიღვინეთ, ყველა ოთახში სამი ბრაზილიელი მაინც ზის, ბრაზილიელს კი წყნარად დაჯდომა არ შეუძლია. კლუბერსონთან მუდმივად ცხოვრობს მისი ძმაკაცი ტიკო, რომელსაც ამ სახლში სახლთუხუცესის და დიდოსტატი მზარეულის

ვენგერის სამიზნეები

ამ სპორტში ახალი სტადიონის შენებაში ჩართული „არსენალი“ სატრანსფერო ბაზარს ვეღარ გასწვდა. „მბარტონ როუდის“ კედლების ამოყვანამ არსენ ვენგერს ათქვეინა, წლეულს ჩვენგან ვინმეს შექმნა გამორიცხვულია, გაისად კი ენახოთო.

მაგრამ, აი, ახლოვდება იანერის სატრანსფერო ფანჯარა და ირკვევა, რომ „მეთოფეებს“ ცოტათოდენა საჯაჭრო ფული გასჩენიათ და ფრანგი მენეჯერიც თავის ჩაცად თვალს ავლებს საფეხბურთო მინდვრებს.

ამბობენ, რომ „არსენალის“ უფროსს თვალი დაუდგამს საუკეთესო ლიდსელის, აღან სმიტისთვის.

„ლიდსი“ ახლა შავ დღეშია, თამაშითაც და ფინანსებითაც სიკვდილს უახლოვდება, აღან სმიტი კი მეტად სასურველ კაცად ჩანს ვენგერისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ჩემპიონთა ლიგაში გამოყენებაც საუკლებით შესაძლებელია. არსებულ ვითარებაში „ლიდსი“ მეძვირუბას არ დაიწყებს, თუმცა რამდენად შეელება თავის უერთგულეს და აღბათ საუკეთესო მოთამაშეს, ძნელი სათქმელია, ანდა როგორ შეეგუება თვითონ

სმიტი „მეთოფეებს“ და როგორ შეეგუებიან მის ხულიგნურ სამოედნე გადახრებს ვენგერი და მისი თანამემწენი, ასევე საფიქრალია.


ასეა თუ ისე, ვენგერს სმიტი უნდა, რადგან ტიერი ანრის მხარდამხარ მის მოსინჯვას აპირებს. ანრემ წლეულს პლეიმპიკერობაშიც გამოიჩინა თავი და ვენგერი თვლის, რომ ის ზიდანს და რონალდოს არაფრით ჩამორჩება. აშკარაა, რომ ვენგერს რაღაც ახალი სქემები უტრიალებს თავში და სმიტი ამ სქემებისთვის სასურველ კანდიდატად ჩანს.

ვენგერი ჯერჯერობით არც ამხელს თავის განზრახვას, მაგრამ ამბობს: „ვერ გეტყვით, რომ რაიმე მინდოდეს, მაგრამ თუკი „ლიდსი“ გაყიდვას დაიწყებს, იქ რამდენიმე ზეიგენი აუცილებლად მიფრინდება“.

ამასთანავე ცნობილია, რომ ფრანგ მენეჯერს უკვე მოუსინჯავს „ვესტ ჰემის“ დაუდევარი ფორვარდის, ჯერმენ დეფოს გადაბირების გეგმა და „სევილიის“ გარემარბ ხოსე ანტონიო რეისსაც აკვირდება.

მოკლედ, ბაზრობა და ხვალეო.


ირაკლი ბაჩყალიძე



აღან სმიტს არსენ ვენგერმა მუცტრის თვალთ შეხვდა



...და ან ტაზა პარსკვლავები სტოიჩკოვის ხრისტოპათია



The picture on the left shows the author of the article, Giorgi Shakhashvili, holding a trophy. The text on the right is a quote from the author.

თავის დროზე ხრისტო სტოიჩკოვი ამერიკული მეიჯორ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენი გამოდგა და აი, რატომ: იგი და გერმანელი ლოთარ მათეუსი ამერიკელებმა ერთად წაიყვანეს, ოლონდ მათეუსზე გაცილებით მეტს ამბობდნენ და წერდნენ, ვიდრე სტოიჩკოვზე. ბულგარელი „ჩიკაგო ფაიერმა“ იყიდა, ხოლო გერმანელი „ნიუ იორკ მეტროსტარზმა“. შემდეგ გავიდა დრო, გახურდა ბურთაობა და გაირკვა, რომ ბებერ მათეუსს ამერიკისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება აქვს, ფული უნდა, თამაში კი ნაკლებად; ხოლო ბებერ სტოიჩკოვს მოედანზე წინ და უკან სირბილი ისევე სწყურია, როგორც ოდესღაც პლოვდოვში სწყურდა. გაირკვა, რომ სტოიჩკოვი ვარჯიშებზეც ენთუზიაზმით მიდის და ახალგაზრდებს ძალიან ბევრს ასწავლის, ეს კი სწორედ ის გახლდათ, რაც ამერიკას სჭირდებოდა

ლის ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. სტოიჩკოვი შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირიც გახდა, იგი ჩემპიონატის „დრიმ თიმში“ შეიყვანეს.

1994 წელს „ბარსელონა“ და ჩვენი წერილის გმირი ისევე გახდნენ ესპანეთის ჩემპიონები, თუმცა იმავე წელიწადს სტოიჩკოვი საუდის არაბეთში, „ალ ნასრში“ გადავიდა. „ალ ნასრის“ შემადგენლობაში ხრისტო აზიის თასების მფლობელთა თასს დაეუფლა.

„ფეხბურთი მარტივი თამაშია — ამბობს ხრისტო სტოიჩკოვი — თითოეული მოთამაშე ყოველ შეხვედრაში, მოედნის ყოველ მონაკვეთზე, ყოველი ბურთისთვის უნდა იბრძოდეს“.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის

მისი ნამდვილი სახე და წარმატების საიდუმლო. თუმცა, არა. წარმატების მთავარი საიდუმლო, ალბათ, მაინც ნიჭია, ხოლო მისი პორტრეტის სისრულისთვის ასეთი რამეები დავძინოთ:

სტოიჩკოვი ექვს ქაზე ლაპარაკობს: ბულგარულად, პოლონურად, რუსულად, ფრანგულად, იტალიურად, ესპანურად. აქვს ორი საფეხბურთო სკოლა ესპანეთსა და აშშ-ში უყვარს თევზაობა, ვოლეის თამაში, თხილამურებით სიალი, ფილმები (შვარცნევირის სტალინის ბანდერასის და ჯულია რობერტსის მონაწილეობით). პლასილო დომინგოს და ხულიო ველესის სიმღერები, ბიფშტეკი და შემწვარი კარტოფილი და ჰყავს მუქალე მარიანა და ქალიშვილები, მიკელა და კრისტინა.

პაპუნა გვილია


დაივიწყეთ, რომ სტოიჩკოვი 1992 წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. დაივიწყეთ, რომ 1994 წელს მან „ფრანს ფუტბოლის“ ოქროს ბურთი მიიღო. დაივიწყეთ სხვა უამრავი ჯილდო. სტოიჩკოვმა ჩიკაგოში ორი რამ ჩაიტანა: ფეხბურთზე გიჟურად შეყვარებული გული და აშშ-ში ფეხბურთისადმი დამოკიდებულების დადებითისკენ შემოტრიალება.

ხრისტო, ან როგორც მეგობრები ეძახიან იცო, დედამისის, პენკეს თქმით, ბურთით დაიბადა. დაიბადა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, პლოვდივში. მამამისი, სტოიჩკო სტოიჩკოვი პლოვდივის „მარცაში“ მეკარე იყო და სულ პატარა ხრისტო ფეხბურთელებს მოედნის გარედან ბურთს გადაუგდებდა ხოლმე, მაგრამ ათი წლიდან მისმა საგანგებო ნიჭმა ისე წარმოაჩინა თავი, რომ თვითონაც შედგა მოედანზე ფეხი.

1984 წელს სტოიჩკოვი „ხეპარში“ აიყვანეს, სადაც სოფიის ცსკა-ს მოაწონა თავი, ხოლო ამ გუნდში გადასვლის შემდეგ სრულიად ბულგარეთის გმირად იქცა. მისი დახმარებით ცსკა-მ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო და თასიც, ხოლო ხრისტომ იმდენი გოლი გაიტანა, რომ ევროპის „ოქროს ბუცი“ მიიღო.

ახალგაზრდა ფეხბურთელის ნიჭი და გამარჯვებებისკენ ლტოლვა კონტინენტზე შეუმჩნეველი ვერაფრით დარჩებოდა — 1990 წელს სტოიჩკოვი „ბარსელონაში“ შეიძინა. „ბარსელონა“ ბულგარელი საყოველთაო ლეგენდად ჩამოაყალიბდა, გაიტანა 100 გოლზე მეტი, მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, ზედისედეგ ოთხჯერ სამეფო თასი და ევროპის ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

„ბარსელონა“ გაბრწყინებას თან სდევდა ტრიუმფი ეროვნულ გუნდში. ამბობენ, ხრისტოს ნაირგვარ ნიჭს შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი უბრალო ბიჭების შემოკრება და მათგან ვარსკვლავების შექმნააო. 1994 წელს, აშშ-ის მსოფლიო ჩემპიონატზე ხალხმა სწორედ ეს იხილა. ხრისტო ბულგარელთა კონცერტს დირიჟორობდა, ბულგარელებმა კი მუნდი-




ჩვილი იცო და დიდი ხრისტო



თიან კრუფის „ოცნების ბარსელონაში“ ხრისტო სტოიჩკოვი შეუცვლელი იყო



ხრისტო სტოიჩკოვს „ბარსელონაში“ ხუან ლაპორტა დახვდა



ხრისტო სტოიჩკოვმა ორმაბათს ფეხბურთელის კარიერა დაასრულა და თქვა, ამერიიდან ჩემი ცოდნა და გამოცდილება „ბარსელონას“ უნდა მოვახმარო. ეს განცხადება ბულგარელებმა სწორედ ბარსელონაში გააკეთა.


„კარიერა დავასრულე. ამას აქ ბარსელონაში ვამბობ, რადგან თუ რამეს მივაღწიე, ფეხბურთელად და პიროვნებად ჩამოყალიბდი, ეს „ბარსელონას“ დამსახურებაა“ — თქვა სტოიჩკოვმა.

37 წლის სტოიჩკოვის მზე რა ხანია, ჩაესვენა და დიდ ფეხბურთს 1998 წელს დაემშვიდობა. მაშინ მას „ბარსელონა“ იმდროინდელ მწვრთნელთან, ლუის ვან გაალთან ჰქონდა უსიამოვნება. ბოლო წლები კი ყველა დროის საუკეთესო ბულგარელი ფეხბურთელი ამერიკულ მეიჯორ ლიგაში, „ჩიკაგო ფაიერში“ და „DC იუნაიტედში“ აგორებდა ბურთს.

სტოიჩკოვის ბარსელონურ პრესკონფერენციას ესწრებოდა „ბარსელონა“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტაც, რომელმაც თქვა, ვფიქრობთ, საუკეთესოდ როგორ შეიძლება ხრისტოს ცოდნის კლუბის სასიკეთოდ გამოყენება.

ბოლოს დავძინოთ, რომ სტოიჩკოვს თბილისში, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც უთამაშია.

კოტე გვაქვია



ლევან ჭარაბაძე ფინურ კალათბურთის კარგად იცნობს

მაკედონიასა და ლუქსემბურგთან ერთად საქართველოს ნაკრების მეტოქე 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის ევრეთ ნოდებულ შესარჩევ ტურნირში ფინეთის გუნდიც იქნება. სკანდინავიური კალათბურთი დიდი ხნით არ ვახლავთ, თუმც ამ ზაფხულს შევედეთ ჩატარებულმა ევ-

ფინეთი უორიდან გვესპრის ოდესაც ქართველი ჩრდილოეთშიც იმარჯვებდა

— ფინეთში 6 წლის წინ ვთამაშობდი. მაშინ იქ დიდი არაფერი ხდებოდა. ჩემი გუნდი „კუპიო“ ფინური ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელსაც ძირითადად ლეგიონერები ვეშველებოდით.
— თუ იცით, თავად ფინელები ხომ არ იყვნენ უცხოეთში სათამაშოდ წასულნი?
— არა, როგორც მახსოვს. „კუპიოს“ მსგავსად, ყველა გუნდს ჰყავდა ლეგიონერი, ზოგს თითო, ზოგსაც ორი-სამი. ფინელები მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ. ლეგიონერთა უმეტესობა 30-35 ქულას აკეთებდა.
— ალბათ ნაკლებად პოპულარულია კალათბურთი ფინეთში...
— დღეს რა ხდება, არ ვიცი, 6 წლის წინ კი ფინური კალათბურთი ვერაფრით დაიკვეხნა. პატარ-პატარა დარბაზები ჰქონდათ, სადაც ტრიბუნა მხოლოდ ცალმხარეს იყო. თამაშებს ძირითადად კალათბურთელთა ნათესავ-ახლობლები ესწრებო-

როპის ჩემპიონატმა გვარიანი სტიმული მისცა სპორტის ამ სახეობას. თანამედროვე ფინურ კალათბურთზე ინფორმაციას ჩვენი ნაკრების მწვრთნელები შეგროვებენ, ჩვენ კი ოდესღაც ფინეთში მოთამაშე ერთადერთ ქართველს, ლევან ჭარაბაძეს მოვუსმინოთ...

დნენ, ყველაზე საინტერესო მატჩებზე პა, პა, ათასი კაცი მოსულიყო.
— ფინელებიდან ვინ იყო ყველაზე ძლიერი მოთამაშე?
— ვერავის გამოარჩევდი, ყველა კლუბის ლიდერი ან ამერიკელი იყო ან კიდევ სხვა ეროვნების მოთამაშე. ფინელები მხოლოდ ეხმარებოდნენ ლეგიონერებს. ერთადერთი, რაშიც მათი შექება შეიძლება, შორი სროლეზა. საერთოდ, ფინელების კალათბურთი სწავლება აგებული, მათ ნაკრებს უთუოდ ეყოლება რამდენიმე კარგი მსროლელი.
— ვაჯობებთ ფინელებს?
— როგორც ვითხარით, 6 წლის წინ ვიყავი ფინეთში და ახლა რა სიტუაციაა, არ ვიცი. მაშინდელ ნაკრებს ასპროცენტაანი ვაჯობებდით. ამ 6 წელიწადშიც ვეჭვობ, ისეთი პროგრესი განეცადათ, რომ ვერ დავამარცხოთ. თუ ყველა ლეგიონერი ჩამოვა, ფინელებს ორივეგან ულაპარაკოდ მოვუგებთ.

ირაკლი პერტაია

საქართველოს ნაკრების შემადგენელი მოთამაშეების სტატისტიკა: ავტორი 15 დეკემბერი. გოლანდი 95:116 მიმდინარე. გოლანდი: მაკარტი (17), პირსი (15). მიმდინარე: გარნტი (27 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), კასელი (27). ინდიანა 95:85 კლივლენდი. ინდიანა: ონილი (26 ქულა, 10 მოხსნა), არტიტი (16). კლივლენდი: ჯეიმსი (27). დელასი 111:94 ტორონტო. დელასი: უოლკერი (27), ნეზი (23 ქულა, 11 პასი), ჯემისონი (23). ტორონტო: კარტერი (21), მარშალი (18). სან ანტონიო 78:67 მიშვილი. სან ანტონიო: დანვანი (21 ქულა, 13 მოხსნა), პარკერი (18). მიშვილი: ველსი (12). კლივლენდი 109:80 ნიუ ორლეანი. კლივლენდი: ბრენდი (27 ქულა, 11 მოხსნა), იარი (19). ნიუ ორლეანი: მალუა (17 ქულა, 10 მოხსნა), ბრაუნი (16 ქულა, 13 მოხსნა), დევისი (16).



ჯალენ როუზი და მისი „ტორონტო“ „დალასთან“ წაბორძიკდნენ

ესეც ასე, ევროლიგაში ერთიოთ მეტი ქართველი ითამაშებს. დავით უგრეხელიძის ტრანსფერს, როგორც იქნა, დაადგა საშუელი. იგი სლოვენის ჩემპიონმა „კრკამ“ აიყვანა

უგრეხელიძე ნოვო მესტოში დასასლდა ევროლიგაში ქართველები გამრავლდნენ

„უგრეხელიძეს კარგა ხანი გაუცდა. „სლოვენთან“ წამოსვლის შემდეგ მას თბილისის „დინამო“ უპირებდა დაყოლიებას, მაგრამ დავითს ევროლიგელ „სიენასთან“ გაველო ორკვირიანი შეკრება და იტალიელთაგან სიტყვას ელოდა. სიენელებმა საბოლოოდ აღარ დაუძახეს უგრეხელიძეს და თურქული „ულქერის“ ვარიანტიც რომ ჩაიფიქსა, დავითი ისევე სლოვენიაში აღმოჩნდა.
„კრკას“ ხელმძღვანელობა ორჯოფობდა, მაგრამ ქართველ ცენტრს საბოლოოდ მაინც გაუფორმა კონტრაქტი. გუშინ უგრეხელიძის ახალ სლოვენელ მენეჯერ ჟელკო ვერგოტს დაუუკავშირდით, რომელმაც ოფიციალურად დაგვიდასტურა ეს ამბავი.
— უგრეხელიძემ „კრკასთან“ ამ დღეებში გააფორმა კონტრაქტი. ის იქ სეზონის ბოლომდე დარჩება. ეს საქმე იმიტომ გაჭიანურდა, რომ დავითი გაცივდა და ორი კვირა

გარეთ ვერ გამოდიოდა. დღეს ის უკვე ვანმრთელადაა, ერთ კვირაში ალბათ ითამაშებს როგორც ადრიატიკის ლიგაში, ასევე ევროლიგაშიც. მას ძალიან ბევრი გაუცდა და თავიდან ცოტა გაუჭირდება, მერე და მერე უგრეხელიძე მყარად ჩაჯდება „კრკას“ შემადგენლობაში. ნოვომესტოლებს მისი დიდი იმედი აქვთ სლოვენის ჩემპიონატის პლეი ოფისთვის.“
წლეულს „კრკამ“ სლოვენის ჩემპიონობა ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიას“ წაართვა და ევროლიგაში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა. ნოვომესტოლებს მიმდინარე სეზონში პრობლემები შეექმნათ, რამდენიმე მოთამაშე დაუშავდათ და მწვრთნელიც გამოიცვალეს. კლუბი თანდათან გამოდის კრიზისიდან და ამ საქმეში სლოვენის ჩემპიონებს უგრეხელიძისაც ეიმედებათ.

ირაკლი პერტაია




დავით უგრეხელიძემ წონა დაიკლო და შოკლანს დაუბრუნდა

«სტუ-ჯეოსელს» მესიჯი მოუვიდა სლოვენიაში ბაბიაშვილს სიმაღლე დაუნუნა

პარკი ცნობა „სტუ-ჯეოსელი-სთვის“: ლიუბლიანურ „სლოვენში“ გასინჯვაზე მყოფი ზვიად ბაბიაშვილი თბილისში ბრუნდება. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის ლიდერმა გასულ კვირაში მიაშურა „სლოვენს“, რამდენჯერმე ივარჯიშა კიდევ ლიუბლიანურ კლუბთან, მაგრამ, როგორც ჩანს, სლოვენელების გემოვნება ვერ დააკმაყოფილა.
„ბაბიაშვილი კარგი ბიჭია, მეტრძოლი და შეუპოვარი, მაგრამ ჩვენ მისი სიმაღლე არ მოგვეწონა — გვითხრა „სლოვენის“ პრეზიდენტმა იანის რაიგელმა — მას შეუძლია, თავისუფლად ითამაშოს სამ ნომერზე, ფრთადა, მაგრამ ამ პოზიციაზე „სლოვენს“ უკვე ჰყავს ღირსეული ხალხი.

გვეგონა, ბაბიაშვილი თავდასხმელის პოზიციაზე გამოგვადგებოდა, მაგრამ ის 2 მეტრიც არ არის, სიმაღლე კი მეტად საჭიროა მეფარისთვის. 3-4 სანტიმეტრით მაღალი რომ იყოს, ბაბიაშვილს უთუოდ დაეიტოვებდით, მაგრამ... ის უკვე გამოემგზავრა საქართველოში.“
ბაბიაშვილი დაიწუნა სლოვენის საშუალო გუნდმა, საქართველოს ჩემპიონატში კი ის ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელად მიიჩნევა. ბაბიაშვილის არყოფნაში „სტუ-ჯეოსელმა“ უკვე მოასწრო კონკურენტ „ბასკოსთან“ წაგება და მისი უკან მობრუნება უთუოდ გაახარებს ტექნიკოსთა ხელმძღვანელებს.

ირაკლი პერტაია



ზვიად ბაბიაშვილი „სტუ-ჯეოსელს“ უბრუნდება

სლოვენის ჩემპიონატის სტატისტიკა: ავტორი 15 დეკემბერი. ატლანტიკა. ფილადელფია 12 12 50,0. ბოსტონი 12 13 48,0. ნიუ ჯერსი 11 12 47,8. ნიუ იორკი 9 16 36,0. მაიაში 8 15 34,8. ვაშინგტონი 7 16 30,4. ორლანდო 4 20 16,7. ცენტრალური. ინდიანა 19 6 76,0. ნიუ ორლეანი 17 8 68,0. დეტროიტი 14 10 58,3. ტორონტო 13 11 54,2. მილუოკი 11 13 45,8. ატლანტა 7 18 28,0. ჩიკაგო 6 16 27,3. კლივლენდი 6 18 25,0. დასავლეთი. შუა-დასავლეთი. დელასი 15 8 65,2. სან ანტონიო 16 10 61,5. დენვერი 14 9 60,9. მინესოტა 14 9 60,9. პიუსტონი 13 9 59,1. იუტა 13 10 56,5. მემფისი 13 10 56,5. ვანარი ოკაჰა. ლეიკერსი 18 5 78,3. საკრამენტო 16 5 76,2. პორტლენდი 11 10 52,4. სიეტლი 11 10 52,4. გოლდენ სტეტი 10 11 47,6. კლაიპერსი 9 11 45,0. ფინიქსი 8 16 33,3.

ავსტრალიაში უსახური თამაშის შედეგად ბორჯღალოსნებს ბევრმა ხურგი შეაქცია და იმასაც კი ამბობენ, ჩვენმა მორაგებებმა ჯიგარი და მოედანზე ბოლომდე დახარჯვის სურვილიც დაკარგესო. ჩვენი ნაკრები მსოფლიოს თასზე ვავიდა, ჩვენც რაღაც კარგის მოლოდინში ვიყავით...

მართალი ნათქვამია, სახელის მოხვეჭა უფრო ძნელია, ვიდრე მისი შენარჩუნება. ორ კვირაში დაინგრა ის, რასაც ბორჯღალოსნების გუნდი აძლენი წელი აწინებდა...

და ვინ დაანგრია ჩვენი ოცნების კოშკი? ვის დააღებ ხელს? ურუგველებს და სამოვლებს ხომ ვერ აჰკიდებ შენს ცოდვებს? ეს კითხვები პასუხებს ითხოვს, პასუხები კი ავკიანებენ. თუ პასუხის მოძიებები ავკიანებენ?

ჩაგდებული მსოფლიოს თასის შემდეგ დაიწყო ერთმანეთზე გადაბრალება და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მტყუნ-მართლის ძიებაში ვიღაც ვიღაცას შეაწმენდს ხელს და მღვრიე წყლიდან სუფთა და მშრალი ამოვა. და რა დაგვრჩება? აქამდე ნაქებ ნაკრების ფრანგ გურუს კლოდ სორელს დალონებული სახით მადლობას მოუხდინა და იმ მოტივით, რომ მან თავისი შესაძლებლობები ამოწურა, დაკავებული თანამდებობიდან გაუშვებენ.

მაგრამ მართლაც ესაა პრობლემა? იქნებ რაგბის კავშირსაც აღიაროს თავისი შეცდომები და იტვირთოს თავისი წილი პასუხისმგებლობა? კი ბატონო, უფულობა ქართული რაგბის მოურჩენელი სენია, მთავრობას ყოველთვის ენანება რაგბისთვის საბიუჯეტო კაპიტლები. მწარე სიმართლეა, რომ რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას კუთვნილი ერთი-ორი ათასი დოლარისთვის მაღალი ჩინოვნიკების შეწუხება უწევს და შემდეგ ავადსახსენებელი თანხის მოსაღებადაც კარდაკარ სიარული და ხეყნა-მუდარა სჭირდება. ისედაც დაქცეულ ქვეყანაში რაგბისთვის არავის არ სცხვლა. მორაგებების ფულსაც არავინ დავიდევთ, თვეობით იყინება.

მაგრამ საინტერესოა, თავად კავშირს არ მოხერხდა ყოველი მატჩის და ყოველი შეკრების წინ ალაღად კუთვნილ თანხაზე ხეყნა-მუდარა? დღეს ყველა ცდილობს საჭირო თანხა თვითონ იშოვოს და მთავრობის მიერ ნაკლებად აქვს. რაგბის კავშირის თქმით, საფრანგეთში გაყიდულ მოთამაშეებში აღებული სატრანსფერო თანხა და საერთაშორისო შემოწირულობა მიმდინარე ხარჯებსაც ვერ ფარავს. კავშირს არაერთი ავიაკომპანიისა და სასტუმროს ვალი აქვს. მაგრამ რა მოხდება, ხელმძღვანელობამ დაფინანსების რომელიმე არასამთავრობო წყარო იშოვოს? ასე გაჭირდა სპონსორის ან სპონსორების მოძიება? თუ სანაკრებო კვარტზე სარეკლამო წარწერის ტარებაა სათაკილო?

კავშირის მესვეურებმა ნაკრების საავსტრალიოდ მოსამზადებელი თანხა დიდი წვალებისა და ხეყნა-მუდარის შემდეგ იშოვეს და სასტუმროდან ასაბარებლად გამზადებულ ბიჭებს საფრანგეთში წუთი-წუთზე მიაშველეს. თუმცა ავსტრალიაში ნათამაშებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენებურებს მომზადების არაფერი ეტყობოდათ.

და მინც, მოსაზრება, რომ ბიჭები მოედანზე ჯიგარს არ დე-

ოცნებათა სასაფლაო ჰქვია ერთ ქართულ ფილმს, სადაც ახალგაზრდებს ოცნება და სამომავლო ფიქრები ერთი ნაღმის აფთქებით უსამარდებათ.

ასე ვიყავით ჩვენც, აქ დარჩენილი ქომაგები და ასე იყვნენ ავსტრალიაში ერთი კონკრეტული ბრძოლის მოგების იმედით წასული ბორჯღალოსნები. ერთმა ნაღმმა, რომელსაც ურუგვაი ჰქვია, ჩვენი ოცნებებიც დაასამარა და აქამდე ასე ნაქები ბიჭე-

შესდროება პარკითილში ექვით!

ქართულ რაგბის ნიადაგის გამოცვლა უნდა



ამოიყვანეთ ქართული რაგბი ტალახიდან!

ბღენ, ნამდვილად მცდარია და მსგავს განცხადებას რაგბიში ჩაუხედავი კაცი თუ გააკეთებს. მაგრამ ავსტრალიაში გამართულმა მსოფლიოს თასმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ქართული ჯიგარი და თავდადება თამაშის მოსაგებად საკმარისი არაა. ინგლისთან, სამხრეთ აფრიკასთან, სამოასა და ურუგვაისთან ჩატარებულმა მატჩებმა გვაჩვენა, რომ მომავალ მსოფლიოს თასზე საბურთაოდ რუსეთის, პოლანდიისა და ესპანეთის ნაკრებების დამარცხება არ გვეყოფა.

რა თქმა უნდა, ბორჯღალოსნების ცუდი თამაში იმანაც განაპირობა, რომ ჩვენებს ავსტრალიაში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ, თუმც კარგად თუ დავაკვირდებით, ასეთი სულ ორია — ტრავმირებული ლევან ცაბაძე და კახა ალანია, რომელიც სორელმა ბევრისთვის გასაკვირად არ წაიყვანა. მათი არყოფნა ჩვენებურებს მწვანე კონტინენტზე ძალიან დაეტყო.

დღესდღეობით ლაპარაკი ხედმეტა მწვერვალების დაპყრობაზე ვის გიკვირთ, რომ თვეობით ოჯახს მოწყვეტილი ნაკრების ბიჭები საარსებო კუთვნილ ერთ-ორ კაპიტს ითხოვენ, რის გამოც ზოგიერთი მოთამაშე შეკრებაზე წასვლას უარობს

და თავს იმით იმართლებს, კლუბი კონტრაქტით ვთვალისწინებული თანხის მოცემაზე უარს მეუბნებაო. არადა, ყველა ქვეყანაში ნაკრების წევრს ამა თუ იმ შეკრებაზე წასვლის დროს დაკარგულ თანხას ქვეყნის რაგბის კავშირი აუნაზღაურებს. საქართველოს რაგბის კავშირს კი ეს თანხა არა აქვს. ამიტომაც ავსტრალიაში ის მოთამაშეები მოხდნენ, რომლებიც სორელმა შეარჩია და ვისთვისაც მსოფლიოს თასზე მონაწილეობა მატერიალურზე მაღლა იდგა. იმის უთქმელობაც არ ივარგებს, რომ ბევრმა ქართველმა მორაგებმა რაგბის მსოფლიოს ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საკუთარი კლუბი დატოვა და უკან დაბრუნებულს თავიდან მოუწია ახლის ძიება.

ურუგვაისთან მარცხის შემდეგ ყველა ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ ნაკრებში განხეთქილება იყო და მოთამაშეები სორელის დავლებების შესრულებაზე უარს აცხადებდნენ. აქედან გაჩნდა მოსაზრება, რომ სორელი ნაკრებს ვერ მართავს. იგი უნდა წავიდეს და მის ნაცვლად ვინმე ახალი მოვიდეს.

ავსტრალიაში ბორჯღალოსნებს მწვრთნელის ხელი რომ აკლდათ, ეს ნათლად ჩანდა ჩვენებურები მოედანზე ვერაფერ ხეირანს რომ ვერ

ბი ფრანგ მწვრთნელთან ერთად კრიტიკის ქარცეცხლში გახვია. აქამდე ბევრი უთქმელი და დაფარული გაცხადდა და, რაც მთავარია, ქართული რაგბის შენიღბული პრობლემები გამოაშხარავდა.

ეს პრობლემები ყოველთვის არსებობდა სპორტის ამ გაჭირვებულ სახეობაში, უბრალოდ მიგვაავიწყდა. იქნებ იმიტომაც, რომ ეიფორიაში ვიყავით და რეალობის შეგრძნების უნარი დაგვიჩლუნგდა?

საინტერესოა, კლოდ სორელის თანამდებობიდან დათხოვნის შემთხვევაში ვინ დააკავებს მის ადგილს? შეძლებს სორელის მეგობარე თავის წინამორბედზე მეტის გაკეთებას? იქნებ ვერც შეძლოს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოს რაგბის კავშირი თავისი მწირი ბიუჯეტით მაღალი დონის მწვრთნელს ვერ გასწვდება. თანაც ახალი მწვრთნელი ნაკრებში გამოძახებულ მოთამაშეებს რაგბის ელემენტარული ილუტების შესწავლას ვერ დაუწყებს.

როგორც ხედავთ, ჩაკეტილი წრეა — პავლე იმის გამოა დამნაშავე, რომ პეტრეს ფამაგირი დაუგვიანეს, და ასე ვრძელდება დაუსრულებლად. ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ასე გაჭირვებული ქართული რაგბი მსოფლიოს მომავალ ფორუმზე წარდგება? ან იმის გარანტია არსებობს, რომ კლოდ სორელი ბორჯღალოსნებს ძველ რეულსებზე დააბრუნებს? რუმინეთი კარგა შორს გაგვექცა, აგერ პორტუგალიაც წამოიჩინა, ჩვენ კი 2001 წელში ჩავრჩით. უმადურობაში ნურავინ ჩამოგვართმევს, მაგრამ არ გვინდა მარტო წარსული გამარჯვებით ვისულდგმოლოთ. ჩვენ ბუნდოვანი მომავალი გვაშფოთებს.

ვის ხელშია ქართული რაგბის მომავალი? თავისთავად აქ სორელი არაფერ შუაშია, ხვალ ის შეიძლება მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში დადარჩეს. ქართული რაგბის პატრონი საქართველოს რაგბის კავშირია. ამ ხალხმა უნდა გადააჭრას ეს პრობლემები, ავური ავურზე დადოს და ნაკრების მომავალი ააშენოს.

ეს არა არის შეუძლებელი მოთხოვნა. განა არ შეიძლება ერთი მოძრა, წმინდა-სარაგო სტალიონის აწერა ნორმალური საფარი? ნაკრების თაობები საუბნურთო სტალიონებზე სამაღლოდ არ იხებთალებდნენ და რაგბის ანაბანს შინაურ გარემოში აითვისებდნენ. ბავშვობიდანვე თუ ნორმალურ მოედანს გაეჩვევი, შებოჭვისა და მიწაზე დაკმის სწავლა საფრანგეთში არ დაგვირდება ნაკრების მწვრთნელიც ტაქტიკაზე ფიქრში დადლის გონებას და ბიჭებისთვის ელემენტარული სარაგო ილუტების სწავლაზე დროს არ დაკარგავს.

კი ბატონო, ვისაც საფრანგეთში გაუწევს გული, ვინ ოხერი დააკავებს? მაგრამ თუკი შიდა ჩემპიონატს არ მიხედავ, ცხრა მთას იქით ლუკმა-პურისთვის წასული რამდენიმე ათეული ბიჭისგან, ბევრი-ბევრი, საშუალო ნაკრები შეკოწინდება, რომელსაც ვერც სორელი და ვერც მისი შემცველი ვერ გააკეთილშობილებს.

რაგბიში მოსულ მონდომებულ თაობას ვარკეთილის მეურნეობის ხრიოკი მოედანი და მდარე ჩემპიონატი არ უნდა დახვედს. კლოდ სორელის კრიტიკა გუმინდელი სიტყვაა. დღეს ქართული რაგბი საკუთარ თავში უნდა გაერკვოს, კარგი გეგმა მოიფიქროს და ოღრო-ოღრო მოელოდეს ორმოები ამოავსოს. მომავალ თაობებს ბუტები უნდა ეცვათ და მწვანეზე ირბინონ.

სორელი ბუმბუჩიძე

რეზულტატები ჩემპიონატი

15 დეკემბერი

დებიუტი 4:1 ფლორიდა
1:0 2:0

10 დეიუი (7), 11 კრაიუი (17), 2:1
მოლტი (27), 3:1 მაურსი (46), 4:1
შნაიდერი (60)

ვინ წარმოიდგენდა, რომ 10 წამყვანი მოთამაშის გარეშე დარჩენილი „დეტროიტი“ უკეთ ათამაშებოდა და ძირითადად ვეტერანებით დაკომპლექტებული გუნდის წარმატების საწინდარი ყველაზე ახალგაზრდა, 25 წლის პაველ დაცუის ბრწყინვალე თამაში გახდებოდა. ბოლო მატჩებში რუსი ცენტრფორვარდი ნამდვილად შეუჩერებელია. თან ჩვეულ გონივრულ პასებს გოლებიც დაამატა. მორიგი გოლისა და 2 პასის შემდეგ იგი 39 ქულით ელვისებურად პირველ საფეხურზე აღხვედა ბომბარდირთა რეიტინგში.

საინტერესოა, რომ ყინულს გარეთ დაცუი საკმაოდ მოკრძალებულია. მით უმეტეს, რომ მხოლოდ მესამე სეზონია, ნკლ-ში თამაშობს და ინგლისური ენაც ჯერ ვერ გატეხა. სამაგიეროდ, მუდმივი პარტნიორი, უბერებელი ბრეტ ჰალი აქებს გაუთავებლად. „დაციუი ჭეშმარიტად საუკეთესოა ლიგაში. ხომ გეუბნებოდით, რომ მისგან დიდი ჰოკეისტი დადგებოდა. მთავარია, არ გაჩერდეს და გააგრძელოს საკუთარ თავზე მუშაობა. იგი უეჭველად ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდება“ — ჰალის მატჩისშემდგომი კომენტარი, როგორც ყოველთვის, მკაფიო და კატეგორიული გახლდათ.

ფინიში 2:5 შინსონი

1:0 1:3


1:0 შოსტრიოვი (5), 1:1 უიზერი (32),
2:1 სავაი (33), 2:2 ჯონსონი (38),
2:3 ბრიუნტი (52), 2:4 უოლცი (60),
2:5 დეიგლი (60)

ფინიქსში გამართულმა ბოლო მატჩმა მასპინძლები ერთობ დანადვლიანა. საქმე ისაა, რომ მომდევნო საშინაო თამაშს „კოიოტები“ ფინიქსის გარეუბან გლენდფილში აშენებულ ახალ არენაზე ჩაატარებენ, იქ კი წაგებულები მიდიან.


დიდი ყინულის პატარა ჯადოქარი

ბრემცკისა და ლემიუს დარი კაშკაშა ვარსკვლავები აღარ იბადებიანო, ხშირად გაისმის ბოლო წლებში. მართალიცაა, მაგრამ შეიძლება მალე აზრი დაეკარგოს ამ გამოთქმას. ახალი თაობის ზოგი წარმომადგენლის თამაში დიდი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. მაგალითად, ილია კოვალჩუკა მესამე სეზონი დაიწყო ნკლ-ში (2001 წლის დრაფტის №1) და სადღეისოდ უკვე მეორე ადგილს იყოფს მეგობრთა რეიტინგში. პაველ დაცუის, პირველზე კი 19 გოლით 19 წლის რიკ ნეშია, 2002 წლის დრაფტის პირველი ნომერი.

ნეშის ასეთი დაწინაურება მით უფრო გასაკვირია, რომ იგი საკმაოდ სუსტ გუნდში ასპარეზობს. ამდენად მას, როგორც ლიდერს, მეტოქის საუკეთესო „ჩეკერებთან“ უწევს თამაში. დღესდღეობით მის ანგარიშზე „კოლუმბუსის“ გოლების თითქმის მესამედი მოედის. იგივე კოვალჩუკი ხშირად დუბლებსა და ჰეთ-თრიქების წყალობით იხვეჭს გოლებს, მერე კი დროებით ჩრდილში ექცევა. ნეში კი ვაცილებით სტაბი-



რიკ ნეშია წლეულს უკვე 19 გოლი მოხვეჭა



შეგირიდი ასეთი უნდა: „კოლუმბუსის“ თავაკაც დუგ მაკლინს რიკ ნეშზე მზე და მთავარე ამოსდის

ლურია, თითქმის ყველა მატჩში გამოირჩევა, რაც ნორჩებს არცთუ ხშირად ახასიათებთ.

უნდა ითქვას, რომ პირველი სეზონი სულაც არ იყო ესოდენ თვალსაჩინო. ყოფილი მწვრთნელი დევი კინგი ნაკლებად ენდობოდა ნეშს და მხოლოდ იანვარში, დუგ მაკლინის ხელში შეისხა მან ფრთები. 17 გოლითა და 39 ქულით იგი „კოლდენ ტროფის“ ანუ საუკეთესო ახალბედას მძიებელთა სამეულში მოხვდა.

ამ სეზონში ნეში თავიდანვე წამყვან სამეულში გააძწესეს და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ჩემპიონატის ნახევარიც არ მიღეულა, მან უკვე ორი ქულით გააუმჯობესა წინა სეზონის შედეგი.

„ჩინებული საგოლე გეში აქვს და საერთოდ მაღალი კლასის ოსტატია, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ მიუხედავად მცირე ასაკისა, მოწიფული გაყვავით იქცევა, ცდილობს, ლიდერი იყოს ყინულზე“ — ამბობს მაკლინი.

მწვრთნელის აზრით, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ნეშმა დიდი პროგრესი განიცადოს, ეგაა, წონაში უნდა მოიმატოს, რათა ზორბა მცველებს უკეთ გაუმკლავდეს. ნეშმა წლეულს 3 კილოგრამი მოიმატა, მაგრამ, მწვრთნელის აზრით, მისი სიმაღლისა (193 სმ) და სათამაშო ამპლუიდან გამომდინარე, მისი წონა 100 კილოს მაინც უნდა უახლოვდებოდეს. დღესდღეობით იგი 94 კილოს იწონის.

უნდა ითქვას, რომ ნეში დამჯერი მოწაფეა და ყველაფერს გააკეთებს, რაც მისი მომავლისთვის აუცილებელი იქნება.

„დარწმუნებული ვარ, ჩავარდნები აუცილებლად მექნება. მთავარია, გულთან ახლოს არ მივიტანო და კიდევ უფრო ბეჯითად ვიმუშაო“ — ამბობს ჯადო ყმაწვილი, რაც იმის დასტურია, რომ ლიგაში ახალი ვარსკვლავი იზრდება, თან ძალიან კაშკაშა.

საჩვეულო ღარიბიანი

ალბიონსა ქართული მეცნიერება

ახლახან ლონდონის გარეუბანში, მომცრო ქალაქ ბასში შოტოკან კარატე-ლოს დამაარსებელ გოჩინ ფუნაკოშის სახელობის მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატი გაიმართა. მასში მონაწილე 40 ქვეყნის 800-მდე სპორტსმენში 8 ქართველი გახლდათ. ასეთი ღონის ტურნირზე ჩვენს კარატისტებს აქამდე არასოდეს ეასპარეზათ და დებიუტისთვის მაღალ შედეგს აღბათ არც არავინ ელოდა, თუმცა თბილისში ერთი მედალი მაინც ჩამოიტანეს.


უფროსეში მზეჭაბუკ მახარაძემ ინდივიდუალურ კუმიტეში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, ჭაბუკებში კი მიხეილ კაშიას ბრინჯაომდე სულ ცოტა დააკლდა.

ჩემპიონატს მსოფლიოს ტრადიციული კარატის ორგანიზაციის მთავარი ინსტრუქტორი, მე-8 დანის მფლობელი იაპონელი ჰატცუვიჯინდო დასწრებია და ქართველთა ჯომარდობა კარგადც შეუფასებია.

„საერთაშორისო ტურნირების საგაისო კალენდარი იანვრის ბოლოს შედგება და გვემას მის მიხედვით შევიმუშავებთ. ბრიტანული გამოცხადების შემდეგ ჩვენით ბევრი დაინტერესდა. ეს კი უმაღლესი ღონის შეჯიბრებზე მიწვევების გარანტია“ — გვითხრა მზეჭაბუკ მახარაძემ.



მზეჭაბუკ მახარაძე ლონდონური პრიზებით



დიდი ხანი არაა, დასავლური ტაბლოიდები პლანეტის საუკეთესო ველომობილს ლენს არმსტრონგისა და პოლიუდელ სექსობობორა სანდრა ბალოკის რომანზე ალაპარაკდნენ. თვეების წინ ცოლისა და სამი

ლენს არმსტრონგის გაჩერებები კედლის დამწოლი სხვა ველოსიპედს მოახტა


შვილის მიმტოვებელი ლენსი პაპარაცებმა ახალ მიჯნურთან ერთად რომელიღაც მანკეტენურ რესტორანშიც გამოიჭირეს და არცთუ უბიწო მეგობრობის დამადასტურებელი სურათებიც გადაუღეს.

გამოძიებას წერტილი თავად ბალოკმა დაუსვა. „იგი უნაკლო მამაკაცია და შეუძლია ნებისმიერ ქალს თავი დედოფლად აგრძნობინოს. ამჯერად ეს ბედნიერება წილად მე მხვდა“ — ამბობდა პოლიუდელი. რას იფიქრებდა, მისი ცამი ფრენა ასე მალე თუ დასრულდებოდა?

უკვე ცნობილია არმსტრონგის მორიგი გაჩერება. 5 „გრემის“ მომხვეჭ მომღერალ შერილ ქროუს დიადი ველომობილი ჭკუიდან გადაუყვანია. „ჩვენი ურთიერთობა უსერიოზულესია და დღითიდღე მტკიცდება. დედამიწის ზურგზე უბედნიერესი მოკვდავი ვარ. შერილს მთელს ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს მივუძღვნი“ — განუცხადა არმსტრონგმა გერმანულ BILD-ს.

მომხიბლავი მომღერლის დევნაში ვარჯიშების გამცდენი ტურ დე ფრანსის ხუთგზის ჩემპიონი ამჟამად ბერლინში ჩასულა, სადაც დღეს ქროუს კონცერტია.

ოთარ გალგალიძე



სანდრა ბალოკისა და შერილ ქროუს გამოკიდებულმა ლენს არმსტრონგმა ნახეთ, რა ტკბილი ოჯახი დაანგრია





ჩაბიბისდნე

დიდბოლოა ბრიტანულმა ტელერადიოკომპანია ბიბისიმ ბრიტანეთის წლის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინა. საუკეთესოთა შორის საუკეთესოსთვის დათქმული ჯილდო ინგლისის მორაგბეთა ნაკრების მთავარმეწეულესა და მსოფლიო თასის ფინალში ავსტრალიელთა ძელებს შუა გადაწყვეტი არეკნის გამყრელ ჯონი უილკინსონს ერგო. მეორე ადგილზე იმავ ნაკრების ღვანლმოსილი კაპიტანი მარტინ ჯონსონი გავიდა. განსაკუთრებული ჯილდოები მიიღეს ხუთგზის ოლიმპიურმა მეოქროვემ, ლეგენდარულმა ნიჩბოსანმა სერ სტივ რედგრეივმა და უდიადესმა ჩეხამერიკელმა მეოქროვე ქალმა მარტინა ნავრატილოვამ. დაჯილდოებას დაესწრო 400 მეტრზე სირბილში ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრალიელი კეტი ფრემენი, ვისაც იმით გამოარჩევთ, რომ ხელში არაფერი უკავია და არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ სპორტსმენს არ ჰგავს.




REUTERS ლონდონიდან




REUTERS ლონდონიდან

ბურთაობა სიღარიბის წინააღმდეგ

2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ, რაც ფიფას მიერ ბაზელში მოეწყო, მარველ-მეორე ადგილებზე გასული რეალები — ფრანგი ზიდანო და ბრაზილიელი რონალდო არსევან-არანდს ვაიყვნენ და სხვა სახელიან ფეხბურთელებთან ერთად საქველმოქმედო იბურთავეს. შეხვედრა რონალდისტების გამარჯვებით დასრულდა 4:3, ხოლო მსხვილ შემოსული 600 ათასი ევრო მთლიანად სიღარიბის წინააღმდეგ უნდა მოხმარდეს.



REUTERS ბაზელიდან



REUTERS ლა კორუნიიდან

ამორკალი

ეს მხედარი ვოგო განთქმული ელინთამერიკელი მილიარდერის, არისტოკრატულ თნასის შვილიშვილი, ათინა რუსელ თნასის გახლავთ. მსოფლიოს ამ უმდიდრეს ამორკალს ფოტო ლა კორუნიასში, საერთაშორისო ცხენჯომბრდობაზე გამოხვლისას გადაუღეს.

სარბიელი
საორტული გაზეითი
გამოიბეჭა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოლის სამუშაოს,
ოთხმუშაოს, ხუთმუშაოს,
პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორგი ოქროშაძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა მუხამაძე
ჭართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თაყაიძე
კობა ინას-
რძე, პატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ბერიძე, ილია ბაბუნა-
შვილი, სილოვან გულისაშვილი, ვიორგი დარჯანია, ვიორგი ვაშაქიძე,
ლალო ხიმშიაძე, ვაჟა ხუციანთაძე

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვაჟა ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაიო სეა-
ნიძე
ფოტორეპორტორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე
გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაგელიძე, სვეტა
ლევაძე, ფატი ღვალაშვილი, მაგდალონაშვილი, დავით კვაჭანტირაძე
თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაბეის გამზირი 42, 11
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarblieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarblieli.com.ge